დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
(სენატის) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/31 დადგენილებით

2026 წლის 24 მარტის მდგომარეობით

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ (შემდგომში – უნივერსიტეტი) დაცვის და უსაფრთხოების სამსახური (შემდგომში - სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებით, სამსახურის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე, რომელიც ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. სამსახურის მიზნები და ამოცანები

მუხლი 2. სამსახურის მიზნები

სამსახურის მიზნებია:
ა) უზრუნველყოს უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
ბ) უნივერსიტეტის ყველა შენობა-ნაგებობის, სასწავლო და არასასწავლო ინვენტარის დაცვა-უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
2. სამსახურის ძირითადი ამოცანებია:
ა) უნივერსიტეტში სასწავლო და არასასწავლო პროცესების დროს უზრუნველყოს უსაფრთხოება უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე;
ბ) აკონტროლოს სტუდენტთა უნივერსიტეტში შემოსვლის პროცესი სტუდენტთა ბარათების მეშვეობით;
გ) სათვალთვალო კამერების საშუალებით აწარმოოს შენობაში (გარდა აუდიტორიების) მიმდინარე პროცესებზე კონტროლი კანონმდებლობის დაცვით;
დ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის მატერიალურ ფასეულობათა, ინვენტარის და სხვა
დამხმარე საშუალებების დაცვა;
ე) ხელი შეუწყოს სასწავლო და არასასწავლო პროცესების უსაფრთხოდ ჩატარებას;
ვ) აღასრულოს რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილება

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად სამსახური უფლებამოსილია:

ა) არ დაუშვას უცხო პირები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

ბ) გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები წესრიგის დამრღვევის მიმართ, თუ იგი არ ემორჩილება უნივერსიტეტის წესდებით და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

გ) განუწყვეტლივ იმყოფებოდეს დასაცავ კორპუსში, აკონტროლოს კორპუსი, ელექტროდამცავი და სახანძრო სიგნალიზაციის მუშაობა, დაიცვას შესაბამისი კორპუსის ქონება დაზიანების, გაძარცვის და ხანძრისაგან;

დ) აღკვეთოს ნებისმიერი დარღვევა, აგრეთვე ალკოჰოლური სასამელების შემოტანა უნივერსიტეტის შენობებში, აზარტული თამაშები, მოწევა, უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის ნებართვის გარეშე რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა;

ე) არ დაუშვას ძირითადი და სათადარიგო გასასვლელების ჩახერგვა;

ვ) განახორციელოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა სახანძრო და დაცვითი სიგნალიზაციით, ვიდეო დათვალიერებით, დაცვის სხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით;

ზ) ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების და დარღვევების შესახებ შეატყობინოს პოლიციას;

თ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებით, სამუშაოა აღწერილობებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. სამსახურში უნივერსიტეტის ქონების დაცვისა და მართლზომიერი განკარგვის მიზნით, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით სამსახურის პერსონალისგან იქმნება მონიტორინგისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფები და სწრაფი რეაგირების დანაყოფი.

3. სახანძრო უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფას ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების განყოფილება, რომლის ფუნქციებია:

ა) სახანძრო უსაფრთხოების რეჟიმის დადგენა და კონტროლი;

ბ) თანამშრომელთა სწავლებისა და ინსტრუქტაჟების ორგანიზება;

გ) ხანძარსაწიწააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციის კოორდინაცია;

დ) გამოვლენილი ხარვეზების აღრიცხვა და რეაგირება.

4. მონიტორინგისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის მოვალეობაში შედის უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობების ვიდეო-კონტროლი და ფასეულობების მონიტორინგი.

5. სწრაფი რეაგირების დანაყოფის მოვალეობაა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში სწრაფი რეაგირება, ქურდობის და სხვა სამართალდარღვევათა პრევენცია, ინფორმაციის გაცვლა და საჭიროების შემთხვევაში სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა. უნივერსიტეტის კორპუსებში მყოფი სამსახურის პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ქონების დაცვაზე, აგრეთვე, სახანძრო უსაფრთხოების და მონიტორინგისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფების პერსონალი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ვალდებულია, უზრუნველყოს სწრაფი რეაგირების დანაყოფისთვის ინფორმაციის მიწოდება შემდგომი რეაგირების მიზნით.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/12 დადგენილება)

თავი III. სამსახურის ხელმძღვანელობა და პერსონალი

მუხლი 4. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.

2. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე.

3. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

მუხლი 5. სამსახურის უფროსის ფუნქციები

1. სამსახურის უფროსი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს თანამშრომლებს შორის ფუნქციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას;

გ) შეიმუშავებს ვადებში გაწერილ გეგმას შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის პროცესის განსახორციელებლად;

დ) საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აწვდის არგუმენტირებულ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს საკადრო ცვლილებების, ასევე, თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების ან წახალისების აუცილებლობაზე;

ე) წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დადგენილ ვადებში;

ვ) პერიოდულად ისმენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს დაქვემდებარებული თანამშრომლებისაგან;

ზ) უფლებამოსილია, დასვას საკითხი სამსახურის საშტატო ნუსხის გაზრდის ან შემცირების თაობაზე;

თ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამსახურის უფროსის მოადგილე:

ა) უფროსის არყოფნის შემთხვევაში პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ასრულებს სამსახურის უფროსის დავალებებს.

3. სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამსახურის უფროსის მოადგილე ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.

3[1]. განყოფილების უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს განყოფილების მიერ ამ დებულებით გათვალიწინებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;

ბ) ახორციელებს განყოფილების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას;

გ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს და წარადგენს სხვადასხვა ხასიათის ინიციატივებს, შესაბამისი დასაბუთებით;

დ) კომუნიკაციას ამყარებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან სამსახურის უფროსის დავალებით;

ე) სამსახურის უფროსის დავალებით ასრულებს განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს.

4. სამსახურის საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.
5. სამსახურის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
6. სამსახურის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/12 დადგენილება)

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამსახურის ლიკვიდაციის შემთხვევაში.